



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 166

2013 წლის 28 ნოემბერი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შეწყვეტის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 28 ნოემბრის N5979 მომართვის საფუძველზე;

1. მიეცეს თანხმობა საკრებულოს თავმჯდომარეს შესაბამისი ბრძანებით შეწყვიტოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 20 ნოემბრის N1959 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსი.

2. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

